სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ოქტომბერი, 2025 წ.

ბრძანება № 01-08/811

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შოთა რუსთაველისა და ტბელ აბუსერიძის სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ოქტომბრის №01-02/187 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არუშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 ოქტომბრის N01-14/596 ბრძანების, ,,2025-2026 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სახელობითი სტიპენდიანტების გამოვლენის მიზნით ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ოქტომბრის №01-02/191 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 2025 წლის 23-24 ოქტომბრის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებისა (ოქმი №1-2) და რექტორის მოადგილის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით 2025 წლის 27 ოქტომბრის №1408915 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში **შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდია, თვეში 500 ლარის ოდენობით, დაენიშნოს** 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 მარტამდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცეს ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) **ბსუ-ს 6 სტუდენტზე, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.**
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება თითოეული ფაკულტეტის მიერ დაეგზავნოს შესაბამის სტიპენდიანტ სტუდენტს (პერსონალური მონაცემების დაცვით) და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ქათამაძე

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 27 **ოქტომბრის N** 01-08/811 **ბრძანების**
N1 დანართი

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდია, თვეში** 500 ლარის ოდენობით, **დაენიშნა** 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 მარტამდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცემა ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) **ბსუ-ს შემდეგ სტუდენტებზე:**

N	სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ბსუ-ს ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების წელი
1.	ანა ალიქაძე		იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წელი
2.	თორნიკე თედორაძე		საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 სასწავლო წელი
3.	ლიზი დიდმანიძე		ეკონომიკისა და ბიზნესის	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წელი
4.	მარიამ ბერიძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წელი
5.	ლიზი ნიკოდიმოვა		ტურიზმის	ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წელი
6.	ემზარი ჭელიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 სასწავლო წელი